გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

№ 60
(11 619)

6 – 8 აგვისტო, 2002 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# მანუჩარ მარკოიშვილმა „ბენეტონში“ ცქიტიშვილის ადგილი დაიკავა

როგორც იცით, ქართული კალათბურთის ვარსკვლავი ნიკოლოზ ცქიტიშვილი ნბა-ს კლუბ „დენვერ ნაგითში“ იტალიური „ბენეტონიდან“ გადავიდა.. იტალიელებს ძალიან არ სურდათ ცქიტიშვილის გაშვება და ერთ მომენტში ამერიკელ სელექციონერებსაც „დაუმალეს“, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდნენ...


მანუჩარ მარკოიშვილი

„ბენეტონმა“ უქართველოდ მაინც ვერ გაძლო: იტალიური კლუბის ხელმძღვანელობამ კონტრაქტი გააფორმა ბათუმის „ბასკოს“ მოთამაშესთან მანუჩარ მარკოიშვილთან.

იტალიელებმა მარკოიშვილი ჯერ კიდევ შარშან, ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატზე „შენიშნეს“. მარკოიშვილის „ბენეტონში“ გადასვლაში დიდი „წვლილი“ შეიტანა ცქიტიშვილის ბოლოდროინდელმა წარმატებებმა.

ახლახან მარკოიშვილი იტალიაში გამოიძახეს. სადაც ქართველმა კალათბურთელმა ორიოდე ვარჯიში ჩაატარა და თავისი თამაშის დონით „ბენეტონის“ სელექციონერები დააკმაყოფილა.

მარკოიშვილსა და „ბენეტონს“ შორის გაფორმებული კონტრაქტი რვაწლიანია. ქართველი კალათბურთელი იტალიურ კლუბთან ერთად ახალი საკალათბურთო სეზონისათვის მზადებას 15 აგვისტოდან შეუდგება.

თენგიზ ჩობანიძე

## ნომერში:

- საფეხბურთო ჩემპიონატი ჩაშლის პირასაა?
- ინტერვიუ გიორგი დემეტრაძესთან
- ტოტალიზატორის მოყვარულთათვის
- კურნიკოვა სილამაზით აღარ კმაყოფილდება
- გარდაიცვალა მირიან ცალქალამანიძე

# ჩაიშლება თუ გადარჩება ფეხბურთში საქართველოს XIV ეროვნული ჩემპიონატი?

ჩემპიონატის სტარტზე ოთხიდან სამი მატჩი უკვე ჩაიშალა! ჯერ კიდევ ბურუსითაა მოსილი თუ როგორ გაგრძელდება ჩემპიონატი



დაძაბულობა

# ვითომ ქართული ფეხბურთის სახელით!..

გაივლის წლები, ათწლეულები, ასწლეულები და თუ საქართველოს ფეხბურთს საერთოდ უწერია მომავალი, რაც თავისთავად გამოიწვევს დაინტერესებას წარსულით, მკვლევარები საქართველოს XIV ეროვნული ჩემპიონატის დასაწყისით გაოცებულები დარჩებიან. ქართული ფეხბურთის ისტორიაში, ჩემპიონატის სტარტზე, პირველად დაფიქსირდა სირცხვილზე მეტყველი ქართული სიტყვა „ჩაიშალა“. თანაც არა ერთის (ერთი რომ იყოს, რა გვიშავდა!), არამედ რამდენიმე მატჩთან მიმართებაში.

სპორტი, მათ შორის ფეხბურთიც, ცხადია, ცხოვრების ადეკვატურია. არა, მხოლოდ ეკონომიკაზე ან პოლიტიკაზე არ გადაგვაქვს აქცენტი. ის მომავალი მკვლევარი თუ მკვლევარები, ალბათ, ყურადღებას მიაქცევენ იმ საზოგადოებრივ ყოფას, როცა XXI საუკუნის დასაწყისის საქართველო, დაპირისპირებებისა და ურთიერთგაუტანლობის ჭაობშია ჩაფლული თხემამდე.

სადავეებმიშვებული, ამბიციებით ნასაზრდოები დავა-კამათი, არასდროს მთავრდება ორივე მხარის სასარგებლოდ, მეტიც, ორივე მხარე რჩება გაშიშვლებული და შეურაცხყოფილი. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ერთი მათგანიც ვერ ჩაითვლება გამარჯვებულად, საერთო საქმე, საქვეყნო თუ საზოგადოებრივი ინტერესები კი ზარალდება. როგორც იტყვიან: „სპილოთა ომში, ბალახი ითელება“.

ქართულ ფეხბურთში ბოლო ხანს გაჩაღებულ ომში ქართული ფეხბურთის ინტერესები ითელება. თუმცა, უკვე გაითელა!

მეტიცაა მოსალოდნელი!

სამარცხვინოდ დავიწყეთ XIV ეროვნული ჩემპიონატი. ზოგმა კლუბებს აუბნია თავგზა ანგარებიანი დაპირებებით, ზოგმა სასამართლოს მიმართა, ზოგმა - ფიფაუეფას. ცალ-ცალკე ყველა მართალია. სულაც არაა გამორიცხული ფიფა-უეფას სანქციები.

მეტ მოსალოდნელში ესეც ვიგულისხმეთ!

დიახ, ცალ-ცალკე ყველა მართალია, მაგრამ სად არის სიკეთე, რა მოაქვს თუნდაც ცალმხრივ სიმართლეს?

ომი გრძელდება, ქართული ფეხბურთი კი ითელება!

ნურავინ იფიქრებს, რომ მართლა აქვს უფლება, ქართული ფეხბურთის აწმყოს და მომავალს ასე უცერემონიოდ ეთამაშოს. განკითხვის დრო უთუოდ დადგება ადრე თუ გვიან, იქ გამოჩნდება ვინაა მართალი ქართული ფეხბურთის დღევანდელ ამბოხში.

იქნებ ყველა სტყუის?

იქნებ მეტის დახანება და უფრო ღრმად შეტოპვა აღარ ღირს. იქნებ ქართული ფეხბურთის ინტერესები დადგეს ყველაზე მაღლა და ცივილურ გამოსავლის დასაძებნად დასხდნენ დაპირისპირებულნი?

იქნებ!..

მიმომხილველი



საქართველოს XIV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა, I ტური

*მერანი — გორდა (ჩაიშალა)*
*მეტალურგი — დინამო (თბ) (ჩაიშალა)*
*კოლხეთი 1913 — მილანი (წნ) (ჩაიშალა)*
*ტორპედო — ვიტ ჯორჯია 1-0*
*დინამო (ბთ) — ხიონი 0-0*

3 აგვისტო, თბილისი, „ლოკომოტივის“ სტადიონი

**დილა (გორი) — ლოკომოტივი (თბილისი) — 0-3**

***ლოკომოტივი:*** ლომაია, ბალაშვილი, ორბელაძე, სალუქვაძე, ბურნაძე, ონიანი, გოგიჩაიშვილი, სირაძე (გ.კვარაცხელია 56), ჭიჭვეიშვილი (გელა ქორიძე 58), რუსია (კაიდარაშვილი 66), ზ. ჯანაშია.

***დილა:*** სოლოლაშვილი, გ. ჩიტაია (სულთანიშვილი 64), ლომიძე, გ. რევაზიშვილი, დავითნიძე, საყვარელიძე (ლ. რაზმაძე 73), ფეზუაშვილი, ჯობაძე, ბ. ჩიტაია (მ. ძოძუაშვილი 46), ლ. გოჩაშვილი, ა. ხმალაძე.

***გოლები:*** 0-1 ბურნაძე (24), 0-2 ზ. ჯანაშია (30), 0-3 ბალაშვილი (60).

***გააფრთხილეს:*** რევაზიშვილი.

***მსაჯები:*** ა. მეშკოვი, ზ. მენთეშაშვილი, ზ. ხუტიშვილი, ა. ორდინიძე.

***ინსპექტორი:*** ნ. კაკულია.



# ასეთია ოლიმპიური ჯილდო, რომელიც ქართველმა ყმაწვილებმა მოიპოვეს...

2

# რა ისმის ევროპიდან?

ევროპის პირველობაზე ჭაბუკ წყალბურთელთა საქართველოს ნაკრების გამგზავრების წინ გამართულ პრესკონფერენციაზე სპორტის წყალთა სახეობების პრეზიდენტი ვ. გოიაშვილი პესიმისტურად



იყო განწყობილი და შეკითხვაზე თუ რისი იმედი უნდა გვქონდეს, მოკლედ უპასუხა: „დიდის არაფრის, ალბათ უნდა დავკმაყოფილდეთ იმით, რომ კონტინენტის ფინალურ ეტაპზე მოვხვდით და ბიჭები გამოცდილებას შეიძენენ“.

სასიკეთო მართლაც არაფერი ისმის. ჩვენს ნაკრებს სასტარტო მატჩები წაუგიათ: რუსეთელებთან – 6:12, უნგრელებთან – 5:10, ბელგიელებთან – 6:7. იტალიის ქალაქ ბარში ტურნირი გრძელდება. ქართველი წყალბურთელები უძლიერესთა ჯგუფში ველარ მოხვდნენ.


ა. მიქაბერიძე

4

„ფეხბურთის თამაშის წესები“ – ეს არის სფფ-ს სამსაჯოსაინსპექტორო კომიტეტის მიერ გამოცემული ახალი წიგნი, რომელიც ფიფა-ს არბიტრმა ანატოლი მილჩენკომ შეადგინა.

# „ლოკომოტივმა“ ომახიანად დაიწყო

კალენდრის მიხედვით, ეს შეხვედრა გორში უნდა გამართულიყო, მაგრამ ქალაქის ცენტრალურ სტადიონს კაპიტალური რემონტი უტარდება და მატჩიც, მხარეთა შეთანხმებით, თბილისში გაიმართა. „დილა“ გასვლით მატჩში, მაინც მასპინძლად ითვლებოდა და თუ მეორე წრის დასაწყისისთვის ქართლელთა სტადიონი სრულად არ შეკეთდა, მეორე შეხვედრასაც, ალბათ, დედაქალაქი უმასპინძლებს. რკინიგზელებმა შექმნილი ვითარება ჩინებულად გამოიყენეს და მასპინძლობა შეიფერეს.

უმაღლესი ლიგის გათამაშების პირველ ტურში ოთხი მატჩი უნდა გამართულიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მეთოთხმეტე ეროვნულ ჩემპიონატს წინასაყრილობო ციებ-ცხელებამ თავისი კვალი დაამჩნია. არ ჩატარდა მატჩები ავჭალაში, ზესტაფონსა და ფოთში. „მერანისა“, „მეტალურგისა“ და წნორის „მილანის“ მესვეურები საწევრო შენატანის გადახდას (22 ათასი ლარი) არ ჩქარობენ, ჩემპიო-

(იხ. მე-4 გვ.)

# გაზეთის დაბეჭდვის წინ:

## ფრანგი ფიგურისტი მარინა ანისინა გამოტყდა, რომ მას ჰქონდა კავშირი „ტაივანჩიკთან“

გასულ კვირაში „ტაივანჩიკის“ გარშემო ატეხილმა სკანდალმა ახალი გაგრძელება ჰპოვა. ყველასათვის მოულოდნელად, წარმოშობით რუსმა სპორტსმენმა, ამჟამად კი საფრანგეთის მოქალაქე მარინა ანისინამ გუშინ განაცხადა, რომ ის იცნობს „ტაივანჩიკად“ წოდებულ ალიმჟან ტოხტახუნოვს, თუმცა, იმასაც ამბობს, რომ მას და თავის პარტნიორ — გვენდალ პეიზერს არასოდეს დასჭირვებიათ „ტაივანჩიკის“ დახმარება ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებაში.

„მე და ტოხტახუნოვმა ერთმანეთი 1999 წელს, ერთ საღამოს გავიცანით. შემდეგ რამდენჯერმე ტელეფონითაც ვისაუბრეთ, მაგრამ ვაცხადებ ყველას გასაგონად, რომ მას არავითარი კავშირი არ აქვს ჩემსა და პეიზერის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებასთან,“ — განაცხადა ანისინამ ჟურნალისტებთან საუბარში, მისთვის არასოდეს არაფერი მითხოვია, უფრო მეტიც, სოლტ-ლეიკ-სიტის ოლიმპიური თამაშების შემდეგ ერთმანეთთან არც გვისაუბრია“. (იხ. მე-2 გვ.)

# რეკორდების ჩემპიონატი

**ბერლინში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში.** შეჯიბრების ბოლო დღეს პოლონელმა მოცურავემ ოტილია იედრეშჩაკმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა 200 მეტრ დისტანციაზე ბატერფლაიში — 2 წუთი, 5,78 წამი. წინა რეკორდი ეკუთვნოდა ავსტრალიელ სიუზან ო'ნეილს.

ალსანიშნავია, რომ ევროპის ახლანდელ ჩემპიონატზე სულ ხუთი მსოფლიო და შვიდი ევროპის რეკორდი დაფიქსირდა. ამავე შეჯიბრებაში რუსეთის ვაჟთა ნაკრებმა 4X100 კომბინირებული ესტაფეტა მოიგო. გუნდის ღირსებას იცავდნენ ევგენი ალიოშინი, რომან სლუდნოვი, იგორ მარჩენკო და ალექსანდრ პოპოვი. ამ უკანასკნელისთვის ეს ოქროს მედალი ევროპის პირველობებში სარეკორდო — მეათე აღმოჩნდა. სხვათა შორის, პოპოვი ბოლოს ჩაება ბრძოლაში და ისეთი სისწრაფე განავითარა, რომ ყველა მოწინააღმდეგე ჩამოიტოვა.

ვერცხლის მედლები ფრანგებმა მოიპოვეს, ბრინჯაოსი — გერმანელებმა.

# „მერანს“, „მილანს“, „მეტალურგს“ და „გორდას“ ტექნიკური წაგება (0-3) ჩაეთვალათ...

პირველი ტურის მატჩებში ჩემპიონატის საწევრო შენატანების გადაუხდელობისათვის და დებულების დარღვევისთვის თბილისის „მერანს“, წნორის „მილანს“, ზესტაფონის „მეტალურგს“ და რუსთავის „გორდას“ სფფ-ს საგანგებო კომიტეტის გადაწყვეტილებით ჩაეთვალათ ტექნიკური წაგება 0-3, მეორე ტურის წინ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში ზემოაღნიშნული გუნდები მოიხსნებიან გათამაშებიდან.

# სფფ-ს თავკაცები შვეიცარიაში გაემგზავრნენ

დღეს, ფიფას შტაბბინას ეწვევიან სფფ-ს პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია. ვიზიტი, როგორც იცით, სფფ-ს წინასაყრილობო პერიპეტიებს უკავშირდება და ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა ვითარებაში უკეთ გარკვევისათვის, ქართული ფეხბურთის მესვეურები თავისთან მიიხმო.

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი დარჩა

ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 6 თვე გვაშორებს

**მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!**

## „ტაივანჩიკის“ სკანდალი გრძელდება




გრძელდება ალიმხან ტოხტახუნოვის დაკავებასთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟი. ტოხტახუნოვს (იგივე „ტაივანჩიკს“) ბრალი ედება სოლტ-ლეიკ-სიტის ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამით, ფიგურულ სრიალში ჩატარებული შეჯიბრების მსაჯთა მოსყიდვაში. თვით ბრალდებული ამტკიცებს, რომ სპორტის ეს სახეობა საერთოდ არ აინტერესებს. და საფრანგეთის სპორტის ჩინოვნიკები კი საპირისპიროს ამტკიცებენ, რომ „ტაივანჩიკს“ მჭიდრო „კავშირი“ აქვს სპორტთან.

აღნიშნული სიტუაციიდან გამომდინარე, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგემ განაცხადა, რომ არ გამორიცხავს, სპორტის ამ სახეობაში ოლიმპიური შეჯიბრების შედეგების გადასინჯვას.

## ათენის სტადიონზე ასაფეთქებელი მოწყობილობა იპოვეს

ტერორისტული ჯგუფის „17 ნოემბრის“ სალიკვიდაციო ოპერაციის დროს ბერძენმა პოლიციელებმა ასაფეთქებელ მოწყობილობას მიაგნეს ათენში იმ სტადიონზე, სადაც 1896 წელს თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშები ჩატარდა. ძნელია იმის თქმა, ეკუთვნოდა თუ არა ეს მოწყობილობა „17 ნოემბერს“, მაგრამ ფაქტია, რომ იგი სტადიონის აფეთქებას „ითვალისწინებდა“. ასაფეთქებელი მოწყობილობა შედგებოდა დინამიტისაგან, დეტონატორისაგან და ყუმბარისაგან.

ორიოდე სიტყვა „17 ნოემბერზე“. ეს ტერორისტული ჯგუფი 1975 წელს შეიქმნა და მოქმედებდა საბერძნეთში ამერიკელი სამხედროების წინააღმდეგ. ამ ჯგუფს უკავშირებენ 23 ადამიანის მკვლელობას.

## მსოფლიო სპორტულ-ლიტერატურულ კონკურსში ქართველმა ძმებმა გაიმარჯვეს

შარშან, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოაცხადა სპორტულ-ლიტერატურული კონკურსი ორ ასაკობრივ ჯგუფში (12 წლამდე და 13-დან 18 წლის ჩათვლით) მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის. ცალკეულ ქვეყნებში გამარჯვებულთა ნამუშევრები იგზავნებოდა მსოფლიო კონკურსზე. საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ჩვენს ქვეყანაში საუკეთესოდ სცნო და რეკომენდაცია მისცა თბილისის სკოლა-ლიცეუმ „რიტორის“ მოსწავლეებს, ძმებს ცოტნე (11 წლის) და თორნიკე (13 წლის) გაჩეჩილაძეების ნაწერებს.

საერთაშორისო ჟიურიმ გამარჯვებულად ორივე ასაკში საქართველოდან გაგზავნილი ნამუშევრები სცნო. თორნიკე და ცოტნე გაჩეჩილაძეებმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან ჯერ საგანგებო ჯილდოები მიიღეს (სპორტსმენის ბრინჯაოს ფიგურა შერწყმული წიგნთან), რომელიც გამარჯვებულებს გადასცა სეოკ-ის პრეზიდენტმა ჯ. ბაგრატიონმა, ამ დღეებში კი ლოზანადან მოვიდა კონკურსის შედეგების შემაჯამებელი კრებული, რომელშიაც ქართულ ენაზეა გამოქვეყნებული გამარჯვებული და პრემირებული ნაშრომები, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე ანოტაციის თანხლებით. ცოტნე გაჩეჩილაძის ტექსტი კი კრებულის გარეკანის პირველ გვერდზეა გამოტანილი.






*მარცხენა ფოტოზე – კრებულის გარეკანი; მარჯვნივ – კრებულის ის გვერდი, რომელზედაც გამარჯვებული ქართველი ძმები (ზედა რიგში მარცხნიდან პირველი და მეორე ფოტო) და პრემირებული ნაშრომების ავტორებია ასახული.*

### მატიანე 50 წლის წინათ

**გორი.** აქ „დინამოს“ სტადიონზე ამხანაგურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამო“-1 და გორის დინამოს ფეხბურთელები. 1-0 გაიმარჯვეს სტუმრებმა.

**ჭიათურა.** ამ ქალაქში გასტროლებზე მყოფმა თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობებმა ფეხბურთში ამხანაგური მატჩი ჩაატარეს ადგილობრივ „მეტალურგთან“. შეხვედრა მოიგეს მსახიობებმა 1-0.

**ცაგერი.** საჭადრაკო ტურნირი რაიონის პირველობაზე ვაჟთა შორის მოიგო შ. ტვილდიანმა, ქალთა შორის უძლიერესი იყო ცაგერის ბიბლიოთეკის გამგე ბ. ბაქრაძე.

**ქარელი.** აქ დამთავრდა საჭიდაო სარბიელის მშენებლობა, რომელიც ერთდროულად იტევს 400 მაყურებელს.

**თბილისი.** ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში მოეწყო კურსდამთავრებულთა სადიპლომო შრომების გამოფენა, რომელთა შორისაა თ. ჯაფარიძის კომპოზიცია – „ალპინისტები“; ზ. პეტრიაშვილის ქანდაკება „კალათბურთელი ქალი“; ი. მაჩაბლის ქანდაკება – „ფიზკულტურელი“ და სხვ.

# მოჭიდავე მერცხალი

***არიან სპორტში საოცარი ბედის ადამიანები. ისინი ვარსკვლავებივით ინთებიან ცის კაბადონზე. ზოგნი დიდხანს ანათებენ, ზოგნი სწრაფად იწვიან, მაგრამ ერთნიც და მეორენიც სამარადისოდ რჩებიან მეხსიერებაში, რადგან ნათელი ალით კიაფობდნენ და საკუთარი ცეცხლით ბრწყინავდნენ.***

ასეთი იყო მირიან ცალქალამანიძის ბედი. 1954 წელს გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი, 1957 წელს წავიდა სპორტიდან. სულ ოთხი წელი. სამაგიეროდ, რა ოთხი წელი!..

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მას არ დაუჯერა მწვრთნელმა, გამოცდილმა, საქმეში ჩახედულმა ადამიანმა – ლევ კაპიტანოვმა. კაცმა რომ თქვას, თავდაპირველად არაფერი არ იყო საეჭვო: მოვიდა ახალბედა, მოიტანა სტანდარტული სამედიცინო მოწმობა. გასახდელში გაგზავნეს ტანსაცმლის გამოსაცვლელად. დარბაზში შემოსულს შავი გრძელი ტრუსები ეცვა, წინდებზე აჭიმები ჰქონდა. რა არის აქ უჩვეულო? და აი, ერთი საათის შემდეგ ამ „გლეხმა“ ნაცად მწვრთნელს „ერთი ძალიან კარგი“ ხერხი აჩვენა, შემდეგ კი სპარინგში მოგვერდით სამჯერ წააქცია პირველთანრიგოსანი, რომელსაც სირცხვილით თავგზა აებნა. მწვრთნელი უფრო გაბრაზდა, ვიდრე გაოცდა.

– რატომ არ მითხარი?.. ვისთან ვარჯიშობ? სიმართლე თქვი! – მრისხანედ ჰკითხა კაპიტანოვმა.

– არავისთან არ მივარჯიშია! – კატეგორიულად უარყო ბრალდება მირიანმა. იგი დაიბნა, რუსულად იმაზე უარესად ლაპარაკობდა, ვიდრე შეეძლო, მაგრამ ღირსების შენარჩუნებას ცდილობდა! – არ იცოდა, თავი როგორ ემართლა...

ახლა უკვე კაპიტანოვი დაიბნა და საქციელწამხდარმა მამაშვილურად მიმართა:

– მითხარი ვისთან ვარჯიშობდი ან ვარჯიშობ, რამდენი ხანია თავისუფალ ჭიდაობას მისდევ?.. ეს ხომ უნდა ვიცოდე!

ამ კითხვებმა ისე გააკვირვა მირიანი, რომ უცებ ვერ მოიფიქრა, რა ეპასუხა. ალალად გულზე ხელი დაიდო და უთხრა: – პატივცემულო მწვრთნელო, მართალს გეუბნებით: თავისუფალ ჭიდაობაში ერთი დღეც არ მივარჯიშია, მწვრთნელი არასოდეს მყოლია.

კაპიტანოვი ყურს აღარ უგდებდა. იგი მიხვდა, რომ ფეხბურთელის გრძელ ტრუსებში მასთან ტალანტი მივიდა, მიხვდა, რომ ასეთი მონაცემების მოწაფე არასოდეს ჰყოლია.

– მწვრთნელში ბედმა გამიღიმა. ამას მხოლოდ ახლა მივხვდი, როცა თვითონ გავჭაღარავდი. – მირიან ცალქალამანიძემ შევერცხლილ თმებზე გადაისვა ხელი. – ჩვენ მხოლოდ ერთხელ მოგვიხდა ხმამაღალი ლაპარაკი, პირველ დღეს. კაპიტანოვი არასოდეს არ მატანდა ძალას, არავითარ გამარჯვებებს არ მოითხოვდა. მხოლოდ მამეცადინებდა იმდენს, რამდენიც შემეძლო. ეს არის და ეს.

იგი დიდხანს მუშაობდა მწვრთნელად. პირველი მოწაფეები უკვე 1931 წელს ჰყავდა. მე მასთან 1951 წელს მივედი. კაპიტონოვი მაჩვენებდა ილეთებს ჩოქბჯენში. გატაცებით დავიწყეთ ჭიდაობა. მწვრთნელი, რა თქმა უნდა, ჩემზე მალე იღლებოდა, იგი 42 წლის იყო და ამბობდა: „მე და შენ, მირიან, ღრმად მოხუცები ვართ...“

სპორტული თვალსაზრისით ცალქალამანიძე გაცილებით უფროსი იყო თავის მასწავლებელზე. ორმოცი წლის მწვრთნელი ხომ შუადღეა, 24 წლის მოწაფე-მოჭიდავე კი არა მარტო მწუხრი, არამედ...

შაზამ საფინი 20 წლისა ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, მირიან ცალქალამანიძე კი ოცდაოთხისა მხოლოდ იწყებდა.

კაპიტონოვმა, ცხადია, იცოდა, რომ მირიანს მაინცდამაინც დიდი პერსპექტივები არ გააჩნდა. წლებს თავისი გააქვს. მაგრამ იგი მუშაობდა და მუშაობდა. უიმედობას არასოდეს მისცემია.

მართალია, ცალქალამანიძის ბიოგრაფიაში იყო პერიოდი, როცა მწვრთნელს სასოწარკვეთის საფუძველიც ჰქონდა: ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მირიანმა მუშაობა ქარხანაში დაიწყო და წვრთნაზე სიარული მიატოვა, კაპიტონოვმა მოინახულა ქარხნის დირექტორი.

– თქვენ ღუპავთ ნიჭიერ მოჭიდავეს!

– რა უნდა გავაკეთო, რომ ვიხსნა იგი? – ჰკითხა დირექტორმა.

– კვირაში სამჯერ გაათავისუფლოთ სამუშაოდან, სამ საათზე...

დირექტორმა გამოიძახა საამქროს უფროსი და უთხრა: „კვირაში სამჯერ სამ საათზე ცალქალამანიძის ჭაჭანება არ იყოს ქარხანაში!“

– კაპიტონოვი „შრომით რეზერვებში“ მუშაობდა, – იხსენებს ოლიმპიური ჩემპიონი, – ღარიბი, უჩინარი იყო მაშინ ეს საზოგადოება. ნებისმიერ შეჯიბრებაზე ჭარბობდნენ დინამოელები, ბლომად იყვნენ სპარტაკელებიცა და არმიელებიც. „ბურევესტნიკი“ ორმოცდაათიან წლებში ძლიერ ორგანიზაციად ითვლებოდა. მე კი ყოველთვის ერთადერთს მიხდებოდა გამოსვლა. როგორც წესი, ჩვენი საზოგადოებიდან არც ერთი მსაჯი არ ერია. მოჭიდავეები სხვა ორგანიზაციებიდან ერთმანეთს, ასე თუ ისე, ეხმარებოდნენ, მე კი არავისი იმედი არ უნდა მქონოდა. ზოგჯერ არამზადებსაც გადავეყრებოდი ხოლმე. გადმოდი ჩვენთანო, მეუბნებოდნენ, შეელიე შენს კაპიტონოვს, ჩაგამჟავებს, ჩვენი საზოგადოება უფრო მდიდარია... არაფერი გამოუვიდათ. „შრომით რეზერვებში“ დავიწყე, იქვე დავამთავრე. მასწავლებელიც ერთი მყავდა – სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი – ლევ კაპიტონოვი...

ცალქალამანიძემ სრულიად არ იცოდა, დგომიდან ფეხებში როგორ სწვდომოდა მეტოქეს. ამისათვის სულ ცოტა ტანის წახრაა საჭირო, ასე ხომ უფრო ადვილია ჩაყვინთვა. მაგრამ საქმე ის არის, რომ მირიანმა, საერთოდ, ვერ გაიგო და არც ძალიან სურდა გაეგო როგორ ეჭიდავა დახრილს. ასე ხომ სარმა, გარე ან შუაკაური და მით უმეტეს, შემოვლება შეუძლებელია, დგომში გამართული ხარ, მეტოქეს ემუქრები მთელი ტანით, მკერდითაც, მხრებითაც, ხელფეხითაც. მან არ უნდა იცოდეს, საიდან მოვა საფრთხე. ხოლო თუ მის წინაშე მოიხრები, მოიკუნტები, ბავშვიც მიგიხვდება, რომ ფეხებში გინდა მისწვდე. თავისუფალი ჭიდაობის თანამედროვე ტექნიკა საშუალებას იძლევა შევედავოთ ცალქალამანიძეს, მაგრამ ეს დღეს. იმ ხანებში კი მირიანი ყველა დავას იგებდა და ამას აკეთებდა სულ უბრალოდ: იმარჯვებდა ხალიჩაზე. რაც შეეხება მის ფეხებს, მეტოქენი ვერ იჭერდნენ. ისეთი ოსტატიც კი, როგორიც გიორგი საიდოვი იყო, ამას იშვიათად ახერხებდა. რატომ?

ცალქალამანიძეს ფენომენალური რეაქცია ჰქონდა. ადვილად ასწრებდა მეტოქეებს. მაგრამ შეიძლება თუ არა მხოლოდ ამით აიხსნას მისი „ხელშეუხებლობა“ და ის გასაოცარი სიმტკიცე, რომელსაც იგი ურთულეს სიტუაციებშიც არ კარგავდა. ვფიქრობ, არ შეიძლება. სისწრაფე ხომ ბუნებრივი, მე ვიტყოდი, არაორგანიზებული თვისებაა, ტექნიკა კი ოსტატობაა. იგი უნდა გამომუშავებულიყო მაღალი სიჩქარეების წინააღმდეგ, მოეთოკა ისინი. მაშ, რატომ ვერ იმუშავებდნენ ამას ცალქალამანიძის წინააღმდეგ, რატომ ვერ თოკავდნენ?

იმიტომ, რომ ცალქალამანიძე თვითონ ფლობდა თავისი ფეხების დაცვის ტექნიკას, თვითმყოფად ხალხურ ტექნიკას, რომელიც ბავშვობაში აითვისა.

ალბათ, ყველას გახსოვთ „ლახტი“. წრეში ჩადგება, ვთქვათ, ხუთი ბიჭი, თითოეულს ფეხებთან ქამარი უდევს, ხუთი მეტოქე ცდილობს ამ ქამრების მოტაცებას. რისთვის, იმისთვის, რომ შემდეგ ფეხებში ურტყან წრეში მდგომებს.

„კარგი თამაშიც ეგ ყოფილა. ეგ ხომ ცემაა! ბარბაროსობაა!“ ცდებით, ეს თამაშია – ჭკვიანური, მარჯვე და,

(იხ. მე-3 გვ.)

# მოჭიდავე მერცხალი

*(მეორე გვერდიდან)*

როგორც ახლა დარწმუნდებით, მეტად სასარგებლო. საქმე ის არის, რომ წრეში მდგომნი უმწეონი არ არიან. მათ უფლება აქვთ დაიცვან თავიანთი ქამრები, მაგრამ მხოლოდ ფეხებით. ერთი წამითაც რომ შეეხონ თავდამსხმელის ფეხებს, უკვე ის დგება წრეში. ხოლო თუ არა მარტო შეეხნენ, არამედ კარგადაც გამოსდეს სარმა ისე, რომ თავდამსხმელი წაიქცა, — გულშემატკივარნი ტაშითაც აჯილდოებენ. თუ წრეში მდგომი ვერ არის იმდენად მოქნილი, რომ დაიცვას თავისი ქამარი, მაშინ რა ვუყოთ? მერე რა, ეს ხომ თამაშია. დაე, ახლა თავისი მოქნილობა სხვებმა აჩვენონ და აიცილონ საკმაოდ სუსხიანი დარტყმები. გახტნენ უკან, ახტნენ მაღლა, რათა ქამრები აიცდინონ: ეცადონ იმათაც, რომ დადგნენ ცალ ფეხზე და მეორე ფეხი მოწინააღმდეგეს გამოსდონ.

ერთი სიტყვით: ნეტავ ყველამ იცოდეს ლახტის თამაში ისე, როგორც იცოდა თელავის რაიონის სოფელ კონდოლის ჩემპიონმა მირიან ცალქალამანიძემ. იგი ლახტს შესანიშნავად თამაშობდა. თავდამსხმელებს წარამარა მიწაზე ანარცხებდა. მირიანის ქამარს საათობით ვერავინ ეხებოდა. საკვირველია, საიდან ჰქონდა მას ეს სიმტკიცე, რეაქცია და ბევრი სხვა რამ, რაც აგრერიგად გვაოცებდა? სულელური ხალხური თამაში არ არსებობს. ადამიანები მათ იგონებდნენ და ხვეწდნენ საუკუნეების განმავლობაში...

შეგიძლიათ თქვათ: კი მაგრამ, კაპიტონოვთან ხომ ლახტის მოთამაშე არ მისულა? საქმე სწორედ ის გახლავთ, რომ მწვრთნელმა მაშინვე დაინახა მასში მოჭიდავე. დიახ, ეს ასეა, დაინახა და საგანგებოდ დაადგა თვალი. მაგრამ მანამდე... პატარა მირიანს ძალიან უყვარდა თავისი ბიძა შალიკო რჩეულიშვილი — თელავის რაიონში ჭიდაობის კარგი მცოდნე, ძლიერი, კეთილი და ლაღი ადამიანი. ბიძა დისწულს ჭიდაობის ხელოვნებას ასწავლიდა და თან არიგებდა: „იცოდე, მირიან, კაცი ძლიერი და მოხერხებული უნდა იყოს, არავის დაეჩაგვრინო. მოდი, დღეს მოგვერდს გასწავლი. მირიანს წვრთნა მალე მობეზრდა, მას ელოდნენ მეგობრები, მას ელოდა ფეხბურთი, მაგრამ ბიძისთვის რომ არ ეწყენინებინა, იმიზეზებდა, ყელა გაკვეთილი არ მისწავლიაო. შალიკო ამაზე გაიცინებდა და ეტყოდა: კარგი, კარგი, მოკურცხლე, ფეხბურთელო“.

ასე გრძელდებოდა რამდენიმე წელიწადს. შემდეგ უბედურება დაატყდა თავს. შალიკო რჩეულიშვილი ბანდიტებმა იმსხვერპლეს. ამ სიკვდილმა შეაძრწუნა მირიანი. ბიძის პატივსაცემად ისევ მიჰყო ხელი ჭიდაობას. ამხანაგები ვერ უძლებდნენ ასეთ ვარჯიშს და ნელ-ნელა შემოეცალნენ. იგი ახალ მეტოქეებს პოულობდა და წვრთნას განაგრძობდა. ფეხბურთი დაივიწყა. ფიზკულტურის მასწავლებელმა ჭიდაობაში თავის „თანაშემწედ“ დანიშნა. სკოლაში ეს არავის გაჰკვირვებია. მეშვიდეკლასელი მეათეკლასელებს ავარჯიშებდა. ასეც უნდა ყოფილიყო.

ასე იშვა მოჭიდავე მირიან ცალქალამანიძე. ნიჭი უწინარეს ყოვლისა შრომაა. ხოლო შრომისმოყვარეობისა და შეუპოვრობის სტიმულად შეიძლება დარდიც იქცეს. ამისათვის გული უნდა გულობდეს...

ცალქალამანიძე ვარჯიშობდა თავისუფალი ჭიდაობის ისეთ გამოჩენილ ოსტატებთან, როგორიც ვალარშაკ მაჩკალიანი, დავით ციმაკურიძე, ვასო ილურიძე, შალვა ნოზაძე და სხვები იყვნენ. გამოცდილი ფალავნები შველოდნენ მას, უზიარებდნენ ყველაფერს, რაც იცოდნენ. მირიანის ოსტატობა ზღაპრულად სწრაფად იზრდებოდა. თავისუფალ ჭიდაობაში პირველი წვრთნის სამი წლის შემდეგ ცალქალამანიძე სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა. აი როგორ მოხდა ეს.

ერთ-ერთი წინასწარი შეხვედრის დროს მირიანმა წააგო ბაქოელ გიორგი საიადოვთან. საიადოვი თავის მხრივ დამარცხდა მუდმივ კონკურენტთან ჩვენი ქვეყნის პირველობების არაერთგზის პრიზიორთან, მეტად ტექნიკურ მინსკელ იგორ კარავაევთან. და აი, შეიქმნა ისეთი სიტუაცია, რომელშიც ცალქალამანიძეზე ნებისმიერი გამარჯვება კარავაევს ჩემპიონად ხდიდა. ხოლო თუ კარავაევი ქულებით წააგებდა, რასაც, გულახდილად რომ ვთქვათ, არავინ ფიქრობდა, პირველ ადგილზე საიადოვი გადიოდა. ორივე შემთხვევაში მესამე ადგილი ცალქალამანიძისა იყო. ამის თაობაზე ხუმრობდნენ კიდეც: მირიანს თანმიმდევრობა უყვარსო. 1951 წელს სსრ კავშირის ჩემპიონატზე იგი მეექვსე იყო. 1952-ში — მეხუთე, 1953 წელს — მეოთხე, და აი ახლა, 1954-ში მესამე იქნებაო. მართალია, იყო მესამე ვარიანტიც. კარავაევი წააგებდა ქართველ მოჭიდავესთან წმინდად და ჩემპიონი ცალქალამანიძე გახდებოდა. მაგრამ ეს ვარაუდი იმდენად არარეალური ჩანდა, რომ არავის განუხილავს. არავის, მირიანისა და ქართველი მწვრთნელების გარდა...

...მესამე წუთზე ცალქალამანიძემ ისეთი სისწრაფით ჩაატარა ილეთი, რომ კარავაევმა ვერც კი მოასწრო ხიდურზე გადასვლა. ეს იყო წმინდა გამარჯვება, რომელმაც მირიანი სსრ კავშირის ჩემპიონი გახადა.

— იცით, რატომ გაიმარჯვა მირიანმა ასე ლამაზად? — მკითხა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა გურამ დათიაშვილმა და თვითონვე მიპასუხა. — იგი არასოდეს არ ფიქრობდა შედეგზე, ზოგჯერ ამიტომაც აგებდა ხოლმე. მაგრამ წესს არ ღალატობდა. მათემატიკა არ უყვარდა — ქულებსაც ამიტომ არ ითვლიდა. 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატში სასტიკად გააფრთხილეს, რომ თურქ აკბასთან ფრთხილად ეჭიდავა. მწვრთნელებს შეჰპირდა კიდეც. მაგრამ მთელი ბრძოლა რისკიანად ჩაატარა და ანგარიში 6:2-მდე აიყვანა. მაგრამ მეტი მონდომა და მორიგი ილეთის დროს თვითონ შეეხო ბეჭებით ხალიჩას. აკბასი იმ წელს ჩემპიონი გახდა, ცალქალამანიძე კი მესამე ადგილზე გავიდა. მეტი შეეძლო, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს უკვე ცალქალამანიძე აღარ იქნებოდა (1957 წელს მსოფლიო პირველობაზე მან „ვერცხლი“ მოიპოვა).

— სამჯერ შევხვდი აკბასს. სამჯერვე წინ ვიყავი, მაგრამ ბოლოს მაინც ვმარცხდებოდი — მირიანმა ღიმილით შემომხედა. სიმართლე უნდა ითქვას: ის მჯობნიდა, ჭიდაობა უკეთესი იცოდა.

წამიკითხავს, თითქოს აკბასი თავის ავადმყოფ, გამხმარ ფეხს წინ მოსატყუებლად დგამდაო. სისულელეა, ამას იმიტომ აკეთებდა, რომ სუსტი ფეხი ჰქონდა, ვერ ეყრდნობოდა მას. მე თუ მკითხავთ, აქ სიმართლე ის არის მხოლოდ, რომ დიდმა მოჭიდავემ დასძლია ხეიბრობას და ოთხჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. ჰუსეინ აკბასი ამ შემთხვევაში მართლაც გმირი იყო.

მართალია ისიც, რომ მირიან ცალქალამანიძე პატიოსანი და გულმართალი კაცია. მეტოქეს ასეთ შეფასებას იშვიათად აძლევენ ხოლმე.

ერთხელ ოლიმპიურმა ჩემპიონმა ძალოსნობაში თევდორე ბოგდანოვსკიმ მირიან ცალქალამანიძეს ხუმრობით უთხრა:

— რა ოლიმპიური ჩემპიონი შენა მყევხარ? ბარტყო, ცალი ხელით დაგწვენ!

ცალქალამანიძემ მშვიდად მოისმინა ეს „მიწვევა“, გაიღიმა და ჰკითხა: — ფედია, რა უკეთ იცი, ჭიდაობა თუ სიმძიმეების აწევა?

შეკითხვით გაოცებულმა ბოგდანოვსკიმ უპასუხა:

— რა თქმა უნდა, შტანგას უკეთესად ვწევ, მაგრამ შენ ჭიდაობაშიც გაჯობებ...

— ძალიან კარგი! — ტაში შემოჰკრა ცალქალამანიძემ. — გეთანხმები და გთავაზობ ასეთ პირობებს: „თუ სამ ცდაში მიწას თუნდაც ერთი სანტიმეტრით მომწყვეტ, გამარჯვება შენია! თუ ვერ მომწყვეტ, — მე გამიმარჯვია. შემდეგ კი, თუ მოისურვებ, მართლაც ვიჭიდაოთ. თანახმა ხარ?

— ვარ, — უპასუხა ბოგდანოვსკიმ და მირიანს ისე შეხედა, როგორც ფსიქიატრიული საავადმყოფოდან გამოსულს. — ცალი ხელით აი იმ ხეზე შეგაგდებ.

რა თქმა უნდა, ცალქალამანიძე რისკზე მიდიოდა. მსოფლიო რეკორდსმენმა მელბურნის ოლიმპიადაზე სამჭიდში 420 კილოგრამი ასწია, ესე იგი, შვიდი მირიანის წონა. თანაც მაშინ ბოგდანოვსკი სულ ცოტა, ოთხმოც კილოგრამს იწონიდა. საკითხავია, რისი იმედი უნდა ჰქონოდა მოჭიდავეს? რა თქმა უნდა, გამჭრიახობის და ოსტატობის.

ისინი ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. „მსაჯმა“ ტაში შემოჰკრა და ბრძოლა დაიწყო. ბოგდანოვსკიმ გადაწყვიტა, როგორც დათვს, თათებში მოეგდო მეტოქე, მაგრამ ის... გაქრა, თედორემ იგი თავის ლაჯებშუა იპოვა. მოჭიდავე წყნარად იჯდა იქ; ბარძაყზე მაგრად შემოეხვია ხელები შტანგისტისათვის, ფეხები კი ბოგდანოვსკის მარჯვენა კოჭზე გადაეჯვარედინებინა. „მიდი, ამწიე!“ — დაუძახა მირიანმა. შტანგისტმა როგორც იქნა ხელი ჩასჭიდა მოჭიდავეს და ზევით დაიწყო აწევა. — ძვრა ვერ უყო! მის ფეხებს ტკიპასავით მიკრული მირიანი მსოფლიოში ყველაზე მძიმე შტანგა აღმოჩნდა. სამჯერ დაძაბა ბოგდანოვსკიმ თავისი მართლაცდა, გოლიათური ძალ-ღონე, მაგრამ ვერაფერს გახდა.

„ჭიდაობამ გაიმარჯვა შტანგაზე!“ — ყვიროდნენ მაყურებლები და ტაშს უკრავდნენ ცალქალამანიძეს. ხოლო იქვე იდგა სირცხვილით აჭარხლებული ბოგდანოვსკი და არ იცოდა, რა ექნა. მირიანმა ყურადღებით შეხედა გუნებაწამხდარ გოლიათს და უთხრა: „საერთოდ, ფედია, რა თქმა უნდა, შენ ჩემზე ღონიერი ხარ. მომეცი ხელი!“ ცალქალამანიძე დაჯდა შტანგისტის ხელისგულზე და მან მირიანის შეძახილზე რამდენჯერმე მსუბუქად ასწია. ახლა უკვე იღიმებოდნენ ორივენი — გამხდარი მოჭიდავე და ზორბა შტანგისტი.

რას მოწმობს ეს? მირიან ცალქალამანიძის სპორტულობას და თუ გნებავთ, ქართულ ეროვნულ ხასიათს: სანაძლეო მოგებულია, გამარჯვებული გარკვეულია, საჭიროა დამარცხებულის გამხნევებაც.

„მოჭიდავე-მერცხალი“ უწოდა ცალქალამანიძეს დავით ციმაკურიძემ. მან უფრო მეტიც თქვა: „ვფიქრობ, იგი მერცხალზე უსწრაფესიც იყო... ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ასეთი მარდი ადამიანი...“

აი ერთი, საერთოდ, რომ ვთქვათ, სასაცილო, მაგრამ ნამდვილი ამბავი: მოჭიდავეები ტბაზე ორი ნავით დაცურავდნენ: ერთში ინტერნაციონალური ეკიპაჟი იყო — ოსები: ბორის კულაევი, სერგეი ძარასოვი და ქართველი ოთარ კანდელაკი, მეორეში კი წმინდა ეროვნული — მირიან ცალქალამანიძე, გიორგი სხირტლაძე და ვახტანგ ბალავაძე. ცნობილ ხუმარას ძარასოვს ბანაობა მოუნდა, მაგრამ მარტოს რომ არ მოეწყინა, წყალში ჩახტა და ქართველების ნავი გადააბრუნა.

ბალავაძე, რომელიც წყალში თევზივით გრძნობდა თავს და იცოდა სერგეის ოინბაზობა, მაშინვე ნაპირზე გავიდა. ძალზე ცუდად მოცურავე სხირტლაძე გოლიათივით ჩაებღაუჭა გადაბრუნებულ ნავს და გამხიარულებულ ძარასოვს მუშტი მოუღერა, თუ ჩემთან მოცურდი, აქვე გაგათავებო. ცალქალამანიძე კი უჩუმრად იძირებოდა. მან სრულიად არ იცოდა ცურვა.

სავსებით შესაძლებელია მირიანი ხმისამოუღებლად დამხრჩვალიყო, მაგრამ... მხოლოდ მისთვის ცნობილი ხერხით უცბად მთლიანად ამოხტა წყლიდან, მიიხედ-მოიხედა და როცა დაინახა ნაპირი სულ ხუთ მეტრზე იყო, სწრაფად გაირბინა სამშვიდობოსაკენ. იკითხავთ, როგორ? სრულიად უბრალოდ: წყალზე გაირბინა! იტყვით, ეს შეუძლებელიაო! გეთანხმებით, მაგრამ ყური დავუგდოთ მომსწრე-მოწმეებს.

სსრ კავშირის ჩემპიონი მძიმე წონაში სერგეი ძარასოვი: „ის ჩემ გვერდით იყო და უცებ გაქრა. ვიფიქრე, ფსკერისკენ წავიდა-მეთქი, და ჩავყვინთე... რას ვიფიქრებდი რომ ცურვა არ იცოდა...“

მსოფლიო ჩემპიონი ქვესაშუალო წონაში ვახტანგ ბალავაძე: „როცა მოვიხედე, მირიანი უკვე ნაპირზე იყო“.

სხვებზე უკეთესად ყველაფერი დაინახა მსოფლიო ჩემპიონმა საშუალო წონაში გიორგი სხირტლაძემ (მას არსად გაუცურავს, მშვიდად ეჭირა ხელი გადმობრუნებულ ნავზე):

— მირიანმა წყალზე გაირბინა, ფეხები მხოლოდ კოჭებამდე ჰქონდა წყალში და ნაპირზე გავარდა.

— გოგი, ჩვენ მოზრდილი ადამიანები ვართ! ხომ იცით, რომ ეს შეუძლებელია!

— ვიცი, — მითხრა მან გულწრფელად, თან ისეთი თვალებით შემომხედა, რომ არ შეიძლებოდა არ დამეჯერებინა, — ეს დაუჯერებელია, მაგრამ საკუთარი თვალით ვნახე, იგი გარბოდა, წყალზე გარბოდა...

— მირიან, მაინც რა მოხდა?..

— სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. დავინახე ძარასოვი ჩემკენ მოცურავდა: ვიფიქრე, დამახრჩობს-მეთქი; ისედაც ცუდ დღეში ვიყავი, იმის ხუმრობის თავი სადღა მქონდა. ცურვა არ ვიცოდი, დღესაც არ ვიცი, მაგრამ ნაპირზე აღმოვჩნდი, ალბათ შიშით ისე სწრაფად ვიქნევდი ხელ-ფეხს, რომ გავიქეცი. ნაპირზე კი გავვარდი, კი არ გავცურე, გავვარდი... რაც გნებავთ, ის იფიქრეთ...

მან გაიმარჯვა სსრ კავშირის ხალხთა პირველ სპარტაკიადაზე, ჩვენი ქვეყნის ნაკრებში პირველი ნომერი იყო და... მელბურნის ოლიმპიადაზე თვენახევრით ადრე ლავიწი გაუტყდა.

საბოლოო შეკრებაზე ჩავედით ტაშკენტში და ეს მოხდა ჩემს თანამემამულე ზაურ მჭედლიშვილთან პირველი ორთაბრძოლის დროს. თაბაშირით შემბორკეს, მაგრამ მაინც ყველაფერს ვაკეთებდი, სპორტული ფორმა რომ არ დამეკარგა: დავრბოდი, ვხტუნაობდი, საღი ხელით რეზინას ვჭიმავდი, სხვადასხვა გდების იმიტაციას ვაკეთებდი...

და მაინც გუნდში ცალქალამანიძე ჩარიცხეს. რამდენადაც ჩვენი მწვრთნელები არასწორად, უსამართლოდ, წინდაუხედავად მოიქცნენ არსენ მეკოკიშვილის მიმართ, იმდენად სწორი, შორსმჭვრეტელნი და გამბედავნი აღმოჩნდნენ, როცა არჩევანი ცალქალამანიძეზე შეაჩერეს. ნდობა ბევრს ავალებს ადამიანს. მირიანმა არ უმტყუნა თავის გუნდს... მან, თუმცა წააგო (ქულებით) თურქ ჰუსეინ აკბასთან, მაგრამ ფინალში მაინც გავიდა იმავე აკბასთან და ირანელ მოჰამედ ხოჯასტეპურთან. ეს უკანასკნელიც ძალიან ძლიერი მოჭიდავე იყო, რომელმაც თურქის დამარცხება შეძლო. ახლა ყველაფერი დამოკიდებული იყო მირიანისა და ირანელის ორთაბრძოლაზე. თითქმის მთლიანად განმეორდა სსრ კავშირის 1954 წლის ჩემპიონატის სურათი: თუ გაიმარჯვებდა ირანელი, იგი ჩემპიონი გახდებოდა, თუ ქულებით გაიმარჯვებდა საბჭოთა მოჭიდავე, ჩემპიონობა აკბასს დარჩებოდა; ცალქალამანიძეს პირველ ადგილზე გაიყვანდა მხოლოდ წმინდა გამარჯვება ხოჯასტეპურთან...



*1953 წ. ტოკიო. მარცხნიდან: მირიან ცალქალამანიძე, ვალიკო გიგიაძე, ნიკო მუზაშვილი, სერგო გაბარაევი, ვახტანგ ბალავაძე, გიაი კარტოზია (ფოტო „ლელოს“ არქივიდან)*

— არ ვიცოდი, შევძლებდი თუ არა ხოჯასტეპურის დამარცხებას.. მას არაჩვეულებრივი ღონე ჰქონდა. — ხუმრობა ხომ არ არის — აკბასს მოუგო!... მაგრამ ამაზე არ ვფიქრობდი. ვიცოდი, თავი უნდა გადამედო, უნდა მეჭიდავა ისე, როგორც ჩემს დღეში არ მიჭიდავია... ორთაბრძოლის წინ ფოიეში გავედი, მარტო გავიარ-გამოვიარე. გამახსენდა ჩემი სახლი, გამახსენდა ჩემი უბედური შალიკო ძია, ახლაც მახსოვს მისი ღიმილი; გამახსენდა ჩემი მწვრთნელი კაპიტონოვი, ჩვენი ბიჭები, რომლებიც მეხმარებოდნენ... რა თქმა უნდა, გამახსენდა ისიც, რომ ორმოცი დღე ლავიწის გადატეხვის გამო რიგიანად არ მევარჯიშა, მწვრთნელებმა კი გუნდში შემიყვანეს, სჯეროდათ ჩემი... და მეც გავედი საჭიდაოდ...

რა ბრძოლა იყო... ვინც გაუძლებდა, ის გაიმარჯვებდა, არც სიფრთხილე, არც თავდაცვაზე ფიქრი, ორივე მეტოქე მხოლოდ გამარჯვებას ლამობდა.

წამზომის ისარი მეხუთე წუთს მიუახლოვდა, მაგრამ ვერ მიაღწია. იგი საბჭოთა მოჭიდავის საყვარელმა ილეთმა შეაჩერა, სწრაფმა გდებამ, როგორც მერცხლის კამარამ. მოჰამედ ხოჯასტეპური ბეჭებზე დაეცა. XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი უმჩატეს წონაში გახდა საბჭოთა მოჭიდავე მირიან ცალქალამანიძე. მან ჩვენი გუნდიდან ერთადერთმა შეძლო ოქროს მედლის მოპოვება.

ქვემოთ ფიცარნაგზე მდგომმა ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა დავით ციმაკურიძემ შორიდან დაუძახა:

— გადმოფრინდი, არწივო!

როდის იყო რომ ოლიმპიელებს ასეთი სიტყვების გამეორება დასჭირვებიათ? მირიანი გამოქანდა და გადმოხტა ფიცარნაგიდან, უფრო სწორად, გაფრინდა, როგორც ნამდვილი არწივი, როგორც განუმეორებელი მოჭიდავე-მერცხალი და მკლავებში ჩაუვარდა დავით ციმაკურიძეს. ოლიმპიურმა ჩემპიონმა არ შეარცხვინა ოლიმპიური ჩემპიონი. ასეთები არიან ისინი, ეს ჩემპიონები!

**იან ქიმოვი**



# „ლოკომოტივმა“ ომახიანად დაიწყო

*(პირველი გვერდიდან)*

ნატში სამონაწილეო თანხის ნაწილის გადახდას ითხოვენ, მათ რიცხვშია რუსთავის „გორდაც“, რითაც სფფ-ს დებულების დაცვის სამართლიანი მოთხოვნა იგნორირებულია. აღნიშნულ კლუბებს შეიძლება პირველ ორ ტურში ტექნიკური წაგება 0-3 ჩაეთვალოთ და თუ თვის ბოლომდე საწევრო მთლიანად არ დაიფარება, საერთოდ, მოიხსნებიან გათამაშებიდან.

ისევ ვაკეში გამართულ მატჩს მივუბრუნდეთ. „ლოკომოტივსა“ და „დილას“ შეხვედრას პაექრობას ძნელად დაარქმევდი. რკინიგზელებმა „მასპინძლებს“, მშვიდად და აუღელვებლად დაუმტკიცეს სიძლიერე. პირველი ოცი წუთი შედარებით თანაბრად წარიმართა, მერე კი მინდორზე მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა ფეხბურთს. სერგო კოტრიკაძის შეგირდებმა პირველი ტაიმის შუაში, ექვს-წუთიან მონაკვეთში, ორი ჩინებული გოლით მოამთავრეს საქმე. ყოფილმა გორდელმა ბურნაძემ მისთვის ახალი კლუბის გულშემატკივრები ლამაზი გოლით გაახარა. სოღოლაშვილის შეცდომა უმალ შეამჩნია ალექსანდრემ და წინ გამოსულ მეკარეს შორიდან დარტყმით ბურთი თავზე გადაუგდო. რამდენიმე წუთში ჩვეულ სტილში ონიანის ფლანგური პასი გოლად გარდასახა ზაზა ჯანაშიამ.

მეორე ტაიმის სიწყნარე სულ ორჯერ დაირღვა. რევაზიშვილისა და ჯანაშიას კინკლაობა გორელ მცველს გაფრთხილებად დაუჯდა. ბალაშვილი კი გოგიჩაიშვილის პასს დროულად გამოეხმაურა და ყოფილ თანაგუნდელებს მესამე გოლი გაუტანა.

პრესკონფერენციაზე სერგო კოტრიკაძემ თავდამსხმელთა თამაში შეაქო, თუმცა აღნიშნა, რომ მცველთა იმ შეცდომებს, რომელიც რკინიგზელებმა „დილასთან“ მატჩში დაუშვეს, უეფას თასზე დანიური „კოპენჰაგენი“ არ გვაპატიებსო. გამოცდილი სპეციალისტი ჩემპიონატის გარშემო არსებულ ვითარებასაც შეეხო: თუ მეორე ტურის მატჩი ზესტაფონის „მეტალურგთან“ არ შედგა, სასწრაფოდ სპარინგ-პარტნიორია მოსაძებნი და რაღაც კომპრომისი უნდა გამოინახოს, რათა დაძაბულობა განიმუხტოს – თქვა ს. კოტრიკაძემ.



„დილა“ – „ლოკომოტივი“

ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა

## ბაზელში სლოვაკი გაგვიძღვება

**გულშემატკივრებისთვის ცნობილია, რომ ჩვენ და შვეიცარიელები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის თარიღზე ვერ შევთანხმდით. შეხვედრის დრო ფიფას უნდა დაედგინა.**

ქართული მხარისთვის მისაღები 7 სექტემბერი იყო, შვეიცარიელები 8 სექტემბერს გვთავაზობდნენ. სავარაუდოდ, თამაში შვეიცარიელთა შემოთავაზებულ დროს გაიმართება ბაზელში, არბიტრი კი სლოვაკი ვლადიმირ ხრნაკი იქნება. შესაბამისად, ახალგაზრდული ნაკრებები ერთი დღით ადრე, 7 სექტემბერს ითამაშებენ ბაზელიდან 50 კილომეტრში მდებარე პატარა ქალაქში. შეხვედრის მთავარი მსაჯი, თავდაპირველად, ებრაელი ჰაიმ იაკოვი იყო, მაგრამ მატჩის თარიღის შეცვლის გამო შეიცვალა მსაჯიც. ოლიმპიელთა პაექრობას მოემსახურებიან პორტუგალიელი მსაჯები ბარტოლო ბერკერენსას მეთაურობით.



# გიორგი დემეტრაძე – „ალანიაზე, საქართველოს ნაკრებსა და ზაზა ჯანაშიას კატლეტებზე“

### ქართველი ფორვარდი მიიჩნევს, რომ საქართველოს ნაკრები რუსეთის გუნდზე ძლიერია...

*ვლადიკავკაზის „ალანიაში“ დაბრუნების შემდეგ გიორგი დემეტრაძეს კვლავ გააქვს გოლები და რუსული პრესაც აალაპარაკა. რუსი ჟურნალისტები ბოლო დროს მართლაც რომ დიდ ყურადღებას იჩენენ ქართველი ფორვარდის მიმართ, რის მაგალითადაც დღეს ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის შეთავაზებული ინტერვიუა, რომელიც დემეტრაძემ რუს ჟურნალისტებს მისცა.*

● ***ბევრისთვის თქვენი დაბრუნება „ალანიაში“ მოულოდნელიც იყო. თქვენ ეს კლუბი 1999 წელს რუსეთის საუკეთესო ბომბარდირის რანგში დატოვეთ. ახლა კი „ალანია“ რუსეთის უმაღლესი ლიგის სახიფათო ზონიდან თავის დასაღწევად იბრძვის...***

— სრულებითაც არ ვთვლი „ალანიას“ აუტსაიდერად. მართალია, ვლადიკავკაზურ კლუბს ჩემპიონატის პირველ ნახევარში თამაში არ წაუვიდა, მაგრამ ახლა „ალანიაში“ ახალი მწვრთნელებია — ბახვა თედეევი და ბორის იგნატიევი. გუნდში კარგი სიტუაციაა. ჩემს თანაგუნდელებს მხოლოდ ერთი ამოძრავებთ, რაც შეიძლება მალე დააღწიონ თავი სახიფათო ზონას. აკი რეალური ნაბიჯებიც გადაიდგა. გუნდი გაძლიერდა. ჩემთან ერთად თამაშობს კიდევ ერთი ძლიერი თავდამსხმელი — მიხეილ აშვეთია... ასე რომ, „ალანია“ ნაადრევად ჩათვალეს აუტსაიდერად... ნუთუ არაფერს ნიშნავს ის, რომ ამ გუნდმა ჩემპიონატის პირველ წრეში მოსკოვის „სპარტაკის“ დამარცხება შეძლო?!

● ***და მაინც, რუსეთის წლევანდელი ჩემპიონატი მოსკოვის „ლოკომოტივში“ დაიწყეთ, რომელიც ოქროს მედლების რეალური კანდიდატია. რატომ მიატოვეთ სიომინის გუნდი?***

— საქმე ის არის, რომ გაზაფხულზე ტრავმა ახალი მოშუშებული მქონდა და სრულ სათამაშო ფორმაში არ ვიყავი. გარდა ამისა, „ლოკომოტივში“ კარგად ათამაშდნენ პიმენოვი, ობიორა და აქედან გამომდინარე, სიომინიც მათ ენდო...

„ლოკომოტივში“ გადავედი „რეალ სოსიედადიდან“ არენდით, რომელსაც ვადა ივნისში გაუვიდა. იყო ვარიანტი გავბრუნებულიყავი ესპანეთში, მაგრამ ვიცოდი, რომ იქ მაინც ვერ ვითამაშებდი, — „სოსიედადს“ უფრო დიდი არჩევანი ჰქონდა. ჩემმა აგენტმა კარგი ვარიანტი „გააჩინა“, — ბელგიურ „ბრიუგეში“ გადასვლა, მაგრამ ეს საქმე ჩაიშალა, რადგან ბელგიელები და ესპანელები სატრანსფერო თანხაზე ვერ შეთანხმდნენ. შესაძლებელი იყო იაპონიაში ან თურქულ „ბეშიქთაშშიც“ ამომეყო თავი, მაგრამ საბოლოოდ, „ალანიაში“ აღმოვჩნდი.

● ***ახლა როგორ ფიქრობთ — ღირდა კი 1999 წელს „ალანიას“ დატოვება? ვერც კიევის „დინამოში“, ვერც „რეალ სოსიედადში“ და არც მოსკოვის „ლოკომოტივში“ ისეთი ბრწყინვალე გამოსვლა არ გამოგივიდათ, როგორც ეს ვლადიკავკაზურ კლუბში მოახერხეთ...***

— ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამიხარდა, როცა თვით ლობანოვსკიმ მიმიწვია კიევის „დინამოში“, მისი ხელმძღვანელობით თამაში მეტად საინტერესო იყო. მართალია, ძალიან ვერ ვბრწყინავდი, მაგრამ მაინც, ანდრეი შევჩენკოს მადარებდნენ. არაფერს ვნანობ, იმასაც კი, რომ კიევიდან ესპანეთში წავედი, — „რეალ სოსიედადშიც“ საინტერესო იყო ბევრი რამ.

● ***ახლა სრულიად ჯანმრთელი ხართ (თუ არ ჩავთვლით ცხვირის მცირე დაზიანებას), კარგ სათამაშო ფორმაშიც... ზედმეტი წონა ხომ არ გაწუხებთ?***

— არა, რატომ მკითხეთ?

● ***მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ თქვენს წასვლამდე ნახევარი წლით ადრე ზაზა ჯანაშიამ დატოვა ეს გუნდი და ამის მიზეზი სწორედ ზედმეტი წონა იყო. იური სიომინმა ხუმრობით თქვა, რომ ქართველ კაცს სუფრას ძნელად მოაშორებთო...***



— ეს ყველას არ ეხება. მე მცირე აპეტიტი მაქვს, — ვარჯიშამდე ორი საათით ადრე არაფერს მივირთმევ. რაც შეეხება ზაზა ჯანაშიას, მას შეუძლია, ვარჯიშის წინ 15 კატლეტი შეჭამოს, მერე კი, თვითონაც უკვირს, რომ სირბილი უჭირს.

● ***შეგიძლიათ, ზაზა ჯანაშიას მსგავსად, თქვენც დააგვიანოთ საქართველოს ნაკრების საწვრთნელ შეკრებაზე არა ათი წუთით, არამედ ორი დღით?***

— არა (იცინის). ასეთი რამ მხოლოდ ზაზას შეუძლია: მოსკოვიდან თბილისში ჩავიდეს მანქანით. მან შეკრებაზე ორი დღით დააგვიანა და ნაკრებიდანაც გარიცხა ჰოლანდიელმა იოჰან ბოსკამპმა, რომელიც მკაცრი დისციპლინის მიმდევარი იყო. უცხოელი მწვრთნელის მოწვევით არაფერი გაკეთებულა სასიკეთო — ფეხბურთელებს არ ესმოდათ იოჰან ბოსკამპის „ფილოსოფიის“.

● ***სულ მალე, სექტემბერში რუსეთისა და საქართველოს ნაკრებები ერთმანეთს შეხვდებიან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში. თქვენი აზრით, ვინ არის ფავორიტი ამ შეხვედრაში?***

— ვფიქრობ, საქართველოს ნაკრები უფრო ძლიერია. თბილისში რუსეთის ნაკრებს აუცილებლად დავამარცხებთ და საერთოდ, ბოლომდე ვიბრძოლებთ „ევრო-2004“-ის ფინალური ეტაპის საგზურისათვის.

● ***კი მაგრამ, რუსეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე გავიდა, ეს ბედნიერება კი საქართველოს ნაკრებს ჯერ არ ჰქონია. რატომღა ანიჭებთ თქვენს გუნდს უპირატესობას?***

— ჩემი აზრით, დღეს საქართველოს ნაკრები ადრინდელზე უფრო ძლიერად თამაშობს, ხოლო ოსტატობით რუსებს არაფრით ჩამოვუვარდებით.

მოამზადა **თენგიზ ჩოგანიძემ**

წიგნის თარო

## კარგი საჩუქარი ფეხბურთის სპეციალისტებს და გულშემატკივრებს!




საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ და სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტმა ფეხბურთით დაინტერესებულ საზოგადოებრიობას კიდევ ერთი, რიგით მესამე წიგნი წარუდგინა. „წიგნი თეორიულ დახმარებას გაუწევს ფეხბურთის სპეციალისტებს პროფესიულ საქმიანობაში. წიგნი საინტერესოა გულშემატკივრებისთვის, ფეხბურთის წესების ცოდნა გულშემატკივრების ობიექტურობის გარანტიაა“ — ვკითხულობთ შესავალში.

საკმაოდ სქელტანიანი გამოცემა უხვადაა ილუსტრირებული, დართული აქვს დიაგრამები და განმარტებები. წიგნი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში დეტალურადაა ასახული მატჩის ინსპექტორის მოვალეობები და თამაშის წესები; მეორე ნაწილში კითხვა-პასუხების სახით განმარტებულია სხვადასხვა საფეხბურთო საკითხები; მესამე ნაწილი დაეთმო დამატებით ინსტრუქციებს და სამახსოვროს მსაჯებისთვის და დამატებებს თამაშის წესებში.

მატიანე

1930 წ. ქართული „მუშფაკი“: მარცხნიდან – დავით ცომაია, გაბლიანი, გიორგი ლეჟავა, ლეო ორახელაშვილი, სტუდენტი, ლეო ციციშვილი, სტუდენტი, ავალიანი, მიშკა სტუდენტი, შურა ხატიანი, ბიძინა ქელბაქიანი, მეკარე – უცნობია. ამ გუნდმა საქართველოს საგაზაფხულო გათამაშების 1930 წლის ფინალში დაამარცხა „ავჭალის წყალსადენი“ 2-1



# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## აბრამიძის დებიუტი და „ალანიას" ქართული „დუბლი"



რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგ მე-18 ტურში, ქართველ გულშემატკივართათვის საინტერესო ბევრი რამ იყო. პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ შედგა ვალერი აბრამიძის დებიუტი მოსკოვის „სპარტაკის" შემადგენლობაში. ოლეგ რომანცევმა ქართველი ლეგიონერი 87-ე წუთზე შემოიყვანა მინდორზე, აბა, დარჩენილ სამ წუთში რა უნდა ყოფილიყო მნიშვნელოვანი? იმ დროისათვის „სპარტაკი" 1-0-ს იგებდა (გოლი 67-ე წუთზე დანიშევსკიმ გაიტანა) და ეს ანგარიში ბოლომდე შერჩა ტაბლოს.

ასეთივე ანგარიშით გაიმარჯვა ლიდერმა მოსკოვის „ლოკომოტივმა", რომლის შემადგენლობაში მატჩის ბოლო ოცი წუთის განმავლობაში ითამაშა ედიკ საჯაიამ.

დრამატულად წარიმართა „ალანია" — „სოკოლის" მატჩი. ვლადიკავკაზელებმა გიორგი დემეტრაძისა და აშვეთიას გოლების წყალობით გაიმარჯვეს 3-2 და კიდევ უფრო გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა. კიდევ ერთმა ქართველმა გამოიჩინა თავი ამ ტურში. ზურაბ წიკლაურის ერთადერთი გოლის წყალობით „ურალანმა" „ტორპედო-ზილს" სძლია.

ტურის სხვა შეხვედრები ასე დასრულდა: შინიკი — როტორი 1-0, სატურნი — ზენიტი 1-2, როსტსელმაში — ანჟი 2-0, კრილია სოვეტოვი — ცსკა 0-2.

სატურნირო მდგომარეობა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტ. | 19 | 12 | 6 | 1 | 26-8 | 42 |
| სპარტაკი | 19 | 12 | 3 | 4 | 33-23 | 39 |
| ცსკა | 17 | 11 | 3 | 3 | 30-13 | 36 |
| შინიკი | 19 | 8 | 5 | 6 | 28-24 | 29 |
| სატურნი | 18 | 8 | 5 | 5 | 24-22 | 29 |
| კრილია | 18 | 8 | 3 | 7 | 23-23 | 27 |
| დინამო | 18 | 8 | 2 | 8 | 22-17 | 26 |
| ზენიტი | 18 | 7 | 4 | 7 | 24-23 | 25 |
| როტორი | 18 | 7 | 4 | 7 | 15-15 | 25 |
| ურალანი | 19 | 4 | 9 | 6 | 24-27 | 21 |
| ტორპედო | 18 | 5 | 5 | 8 | 23-23 | 20 |
| ალანია | 18 | 5 | 4 | 9 | 24-29 | 19 |
| ანჟი | 18 | 3 | 8 | 7 | 14-27 | 17 |
| როსტსელმ. | 17 | 4 | 4 | 9 | 16-28 | 16 |
| ზილი | 18 | 3 | 6 | 9 | 13-27 | 15 |
| სოკოლი | 18 | 2 | 5 | 11 | 12-22 | 11 |

## ფერგიუსონი „ზამთრის არდადეგების" შემოღებას ითხოვს



საფეხბურთო კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი თვლის, რომ იმ შემთხვევაში, თუკი პრემიერლიგაში შემოღებული იქნება „ზამთრის არდადეგები", ინგლისური კლუბები უფრო მეტ წარმატებებს მიაღწევენ ევროპულ ტურნირებში.

ფერგიუსონი ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობას სთავაზობს დასვენებას იანვარში, რათა ფეხბურთელებმა სრულიად აღიდგინონ ძალები ჩემპიონატის მეორე ნახევრის წინ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში, ეს „არდადეგები" არ გამოიყენონ კლუბებმა სხვადასხვა კომერციულ ტურნირებში სათამაშოდ.

„ინგლისის ნაკრებმა დიდი ეფექტი ვერ მოახდინა მსოფლიო ჩემპიონატზე, ფეხბურთელები გადაღლილნი გამოიყურებოდნენ,— განაცხადა ფერგიუსონმა „დეილი ტელეგრაფისათვის" მიცემულ ინტერვიუში, — აი, გერმანელები კი მატჩიდან მატჩამდე უმატებდნენ თამაშს, ისინი დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ იმიტომ, რომ იანვრის თვეში დაისვენეს. მე სრულებითაც არ ვფიქრობ იმას, რომ გერმანიის ნაკრები ინგლისისას სჯობს, უბრალოდ, ჩვენი ჩემპიონატის კალენდარი გადამღლელია. თავად განსაჯეთ: ლიგის თასის შემდეგ კვლავ ჩემპიონატის მატჩებს ვუბრუნდებით... ეს ხომ სისულელეა, — თასის ფინალი ყველა ქვეყანაში სეზონის ბოლო აკორდია".

## მაიკლ ოუენი „არსენალთან" ითამაშებს



საფეხბურთო კლუბ „ლივერპულის" თავკაცმა ჟერარ ულიემ განაცხადა, რომ მაიკლ ოუენი მიმდინარე კვირაში სრულიად გამოჯანმრთელდება და კვირას აუცილებლად ითამაშებს „არსენალის" წინააღმდეგ.

ოუენმა მონაწილეობა ვერ მიიღო მადრიდის ოთხთა ტურნირის მატჩში „მილანის" წინააღმდეგ, რის შესახებაც ულიემ განაცხადა: „თამაშის წინა დღეს ოუენი სხვებთან ერთად ვარჯიშობდა, შემეძლო, „მილანთან" შეხვედრის დროს მისი მოედანზე გამოყვანაც, მაგრამ საჭიროდ არ ჩავთვალე".

## მასიმო მორატი: „რონალდო არსად არ მიდის"

კვირას ესპანური გაზეთები აჭრელებული იყო რონალდოს სურათებითა და ინფორმაციით იმის შესახებ, რომ თითქოსდა ბრაზილიელი ფორვარდი შესაძლოა მადრიდის „რეალში" აღმოჩნდეს. ამ ინფორმაციას ზურგს „უმაგრებდა" ის, რომ თვით რონალდო ამ ერთი კვირის წინათ საუბრობდა მსოფლიო ჩემპიონატზე მიღწეული წარმატების შემდეგ ანაზღაურების გაზრდაზე.

ამ ჭორებს „ბოლო მოუღო" „ინტერის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ, რომელმაც გუშინ ოფიციალურად განაცხადა: „რონალდო არ გაიყიდება. თუკი ფეხბურთელს სურს „რეალში" გადასვლა, მოვიდეს, თვალებში შემხედოს და ისე მელაპარაკოს".

## ფრანგებმა ჩემპიონატი გახსნეს

**დაიწყო საფრანგეთის საფეხბურთო ჩემპიონატი. პირველ ტურში „ლიონმა" ფრედ 3-3 დაასრულა შეხვედრა სტუმრად „გენგამთან". „პარი სენ-ჟერმენმა" ერთადერთი უპასუხო გოლის წყალობით სძლია „ოსერს".**

***სხვა მატჩები***

**მარსელი — ნანტი 0-2**
**ბასტია — ლანსი 1-1**
**ლილი — ბორდო 0-3**
**მონპელიე — რენი 1-0**
**ნიცა — ლე ავრი 1-2**
**სედანი — სოშო 0-0**
**სტრასბური — აიაჩო 1-1**
**ტრუა — მონაკო 0-4**

## შოთა არველაძე გოლით იწყებს


შოთა არველაძე

შოტლანდიაში საფეხბურთო ჩემპიონატის პირველ მატჩში შოთა არველაძის „რეინჯერსი" სტუმრად თამაშობდა „კილმარნოკთან". ქართველმა ლეგიონერმა პირველი გოლი გაიტანა, მაგრამ თამაში საბოლოოდ ფრედ დასრულდა 1-1 და „რეინჯერსმა" ორი ქულა დაკარგა.

არც ისე დამაჯერებლად მოიგო „სელტიკმა", რომელმაც „დანფერმლაინთან" ორი გოლი გაიტანა, საკუთარ კარში კი ერთი მიიღო (2-1).

***სხვა მატჩები:***

დანდი — ჰართსი 1-1
ჰიბერნიანი — აბერდინი 1-2
ლივინგსტონი — მოზერვილი 3-2
პატრიკი — დანდი იუნ. 0-0

## „გაზას" ყოველკვირეულად 1000 ფუნტს სთავაზობენ



პოლ გასქოინს ინგლისის მესამე დივიზიონის კლუბი „დერლინგტონი" ეპატიჟება და კვირაში 1000 ფუნტ სტერლინგს სთავაზობს.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ჯორჯ რეინოლდსმა „სინდი მირორისათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „ჩვენ გვინდა, გვყავდეს ისეთი ფეხბურთელი, როგორიც გასქოინია. ჩვენ იმდენს გადავუხდით, რამდენსაც „გაზა" პრემიერ ლიგაში იღებდა".

შეგახსენებთ, რომ ამას წინათ, პოლ გასქოინმა უარი განაცხადა აშშ-ს საფეხბურთო ლიგაში თამაშზე და ახლა გუნდს ეძებს „ნისლისფერ ალბიონში".

## ბიელსა არგენტინის ნაკრებში დატოვეს

არგენტინის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად კვლავ მარსელო ბიელსა რჩება. მან ქვეყნის მთავარ გუნდთან კონტრაქტი მსოფლიოს 2006 წლის დასრულებამდე გააგრძელა. არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ არგენტინის ნაკრები ვერ მოხვდება მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, ბიელსის პოსტზე შემდგომი დარჩენა უაზრობა იქნება და, ცხადია, კონტრაქტი ვადამდე დაირღვევა.

ქვეყნის პირველი გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე ბიელსას დატოვებამ არგენტინელი გულშემატკივრების არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ბევრი ვერ შეგუებია იმას, რომ მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად აღიარებული არგენტინის ნაკრებმა ვერ შეძლო გასვლა მერვედფინალშიც კი და ამ გუნდის ხელმძღვანელს ბიელსას კვლავ გაუგრძელეს კონტრაქტი.

არის გულშემატკივართა და სპეციალისტთა ნაწილი, რომელიც ბიელსას უჭერს მხარს. მათი აზრით, ბიელსას მუშაობა მხოლოდ იაპონიაში ჩატარებული მატჩებით არ უნდა შეფასდეს. აღნიშნავენ, რომ ფინალურ ეტაპამდე, სწორედ ბიელსას წინამძღოლობით არგენტინის ნაკრებმა 13 მატჩი მოიგო, 4 ფრედ დაასრულა და მხოლოდ ერთი წააგო.

რაც შეეხება თვით მწვრთნელს, ბიელსა მუდამ იმას ლაპარაკობს, რომ მას რევანში სწყურია ახალი კონტრაქტის თანახმად, ბიელსა ყოველთვიურად 22 ათას დოლარს მიიღებს.

## ადამსი ფეხბურთიდან მიდის

**ლონდონის საფეხბურთო კლუბ „არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ გუნდის ვეტერანმა ტონი ადამსმა შესაძლოა, უახლოეს ხანში საფეხბურთო კარიერა დაასრულოს. არ არის გამორიცხული, რომ ადამსმა სამწვრთნელო საქმიანობას მიჰყოს ხელი.**

## რონალდინიო: „ბედნიერი ვარ, რომ პარიზში ვცხოვრობ"



***საფრანგეთის ჩემპიონატის პირველ ტურში მთავარი ფიგურა მსოფლიო ჩემპიონი, ბრაზილიელი რონალდინიო იყო, რომელიც „პარი-სენ-ჟერმენის" შემადგენლობაში თამაშობს.***

— მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ბევრმა ჟურნალისტმა „ბარსელონაში" ამომაყოფინა თავი. ზოგმა — „მანჩესტერ იუნაიტედში", არადა, არც ერთი მათგანის წარმომადგენლებთან კონტრაქტი არ მქონია, — განაცხადა რონალდინიომ ფრანგული პრესის წარმომადგენლებთან საუბარში და დასძინა: „მე ბედნიერი ვარ, რომ „პარი-სენ-ჟერმენში" ვთამაშობ, მიუხედავად იმისა, რომ ეს გუნდი ბოლო პერიოდში დიდი წარმატებებით ვერ დაიკვეხნის... მოხარული ვარ, რომ პარიზში ვცხოვრობ. იმასაც ვიტყვი, რომ „პარი-სენ-ჟერმენს" გრანდიოზული გეგმებიც აქვს. ასე რომ, გუნდი მალე დაიბრუნებს ძველ დიდებას".

## ტოტალიზატორის მოყვარულთათვის

გთავაზობთ ევროპული ტოტალიზატორების ფსონებს ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებითი მატჩებისათვის.

| | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|
| ტორპედო – სპარტა | 3,00 | 3,20 | 2,10 |
| გრაცერი – ტირასპოლი | 1.20 | 5.00 | 10.00 |
| ბაზელი – ჟილინა | 1.45 | 3.50 | 6.50 |
| ლევსკი – სკონტო | 1,50 | 3,50 | 5,85 |
| აპოელი – მარიბორი | 2,10 | 3,10 | 3,10 |
| დინამო (ბუქ) – ბრიუგე | 1,35 | 3,20 | 2,60 |
| დინამო (ტირანა) – ბრონდბიუ | 3,55 | 3,30 | 1,85 |
| ლეგია – ვარდარი | 1,25 | 4,75 | 9,00 |
| ჟელეზნიჩარი – ლილესტრიომი | 2,00 | 3,20 | 3,20 |
| პარტიზანი – ჰამარბი | 1,50 | 3,50 | 5,75 |
| ზაგრები – ზალაეგერსეგი | 1,50 | 3,50 | 5,75. |

## ნუნუ გომეში – „ბენფიკაში"

აწ უკვე არარსებული საფეხბურთო კლუბ "ფიორენტინას" ფორვარდმა ნუნუ გომეშმა პორტუგალიურ „ბენფიკასთან" კონტრაქტს მოაწერა ხელი. სატრანსფერო თანხამ 1,2 მილიონი ევრო შეადგინა. 26 წლის გომეშსა და „ბენფიკას" შორის დადებული კონტრაქტი 4 წლიანია.

## „აიაქსმა" საკუთარი ტურნირი მოიგო

ამსტერდამში დასრულდა საფეხბურთო კლუბ „აიაქსის" ხელმძღვანელობის მიერ ორგანიზებული ტურნირი ამავე გუნდის, „ბარსელონას", „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „პარმას" მონაწილეობით. გადამწყვეტ მატჩში „აიაქსმა" „ბარსელონას" სძლია 4-3. **საინტერესოა, რომ პირველი ტაიმი მოიგო „ბარსელონამ" 2-0. თავი გამოიჩინეს კლუივერტმა და სავიოლამ. მაგრამ მეორე ტაიმში მიდომ, ვან დერ ვარტმა (ორჯერ) და ვიტჩგემ. ოთხი გოლი გაიტანეს ესპანური კლუბის კარში.**

## გერმანელებმა «რეალს» ზეიმი ჩაუშხამეს

მადრიდის „რეალის" 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ოთხთა ტურნირი მიუნხენის „ბაიერნმა" მოიგო. ფინალში გერმანელმა ფეხბურთელებმა „რეალს" სძლიეს 2-1. ანგარიში ბალაკმა გახსნა (27-ე წუთზე თერთმეტმეტრიანი ზუსტად რეალიზებით), 64-ე წუთზე სალი ჰამიჯიჩმა მეორედ აიღო მასპინძელთა კარი, ხოლო 84-ე წუთზე ფიგუმ ერთადერთი საპასუხო გოლის გატანაც მოახერხა.

ასეთივე ანგარიშით, მესამე ადგილისათვის მატჩში „ლივერპულმა" კახი კალაძის „მილანს" სძლია.


ტაისონი

# მაიკ ტაისონი ლიუისთან მატჩ-რევანშზე ოცნებობს

*ლენოქს ლიუისთან „საუკუნის მატჩში“ დამარცხების შემდეგ მაიკ ტაისონი მატჩ-რევანშზე ფიქრობს.*

სკანდალური ამბების „მოყვარული“ „რკინის მაიკი“ აპირებს, ყველას დაანახოს, რომ მისი „ჩამოწერა“ ჯერ ადრეა. თუმცა მასაც კარგად ესმის, რომ ლიუისთან დამარცხების შემდეგ გულშემატკივართა ნდობა დაკარგა და ამისათვის ლიუისთან შეხვედრამდე რამდენიმე ბრძოლის მოგებაა საჭირო. მაინც, ვისთან იბრძოლებს მაიკ ტაისონი? არსებობს რამდენიმე ვარიანტი: უმთავრესი პრეტენდენტია დევიდ ტუა, რომელმაც ერთი რაუნდის განმავლობაში გაუძლო ლიუისის მუშტებს. ტაისონ-ტუას შეხვედრა ერთობ საინტერესო იქნებოდა. ამის გარდა, არის კიდევ ერთი მოკრივე, რომელთანაც ბრძოლის მოგება (თუ კი შეძლო) მაიკს დაუბრუნებს ავტორიტეტს. ეს არის ვიტალი კლიჩკო, რომელიც ასევე პრეტენზიას აცხადებს ლიუისთან შეხვედრაზე.

# საჩოგბურთო ელიტას კიდევ ერთი არგენტინელი შეემატა

სან-მარინოში დასრულდა საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთელ ვაჟთა შორის, რომლის საპრიზო ფონდი 100 ათას დოლარს შეადგენდა. ფინალში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ არგენტინელი ხოსე აკასურო და მესამე ნომრით „განთესილი“ ალბერტო პორტასი.

პირველი სეტი პორტასმა იოლად მოიგო, მაგრამ ამის შემდეგ 19 წლის არგენტინელმა შეძლო თამაშის მსვლელობაში გარდატეხის შეტანა და საბოლოო გამარჯვების მოპოვება 3:6, 6:3, 6:2. ეს იყო ზედიზედ მეორე გამარჯვება ხოსე აკასუსოსთვის, — ერთი კვირის წინ მან პოლონეთში, სოპოტის ტურნირი მოიგო. ახლა არგენტინელი მსოფლიო რეიტინგში 64-ე ადგილზეა, თუმცა სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მომავალ რეიტინგში ის ერთბაშად რამდენიმე საფეხურით აიწევს.

# ერთი კვირის დაუმარცხებელი



ტორონტოს საერთაშორისო საჩოგბურთო ტურნირის ფინალში არგენტინელმა გილიერმო კანასმა ორ პარტიაში შეძლო ამერიკელ ენდი როდიკას დამარცხება 6:4, 7:5. საინტერესოა, რომ კანასი პირველი ჩოგბურთელია, რომელმაც კანადური ტურნირი მოიგო გილერმო ვილასის შემდეგ (ამ უკანასკნელმა ტორონტოში 1976 წელს გაიმარჯვა).

20 წლის კანასისათვის ეს მეორე წარმატებული ტურნირია მიმდინარე სეზონში და რიგით მესამე – თავის კარიერაში.

გასულ კვირას მან დაამარცხა ისეთი მეტოქეები, როგორებიც არიან მარატ საფინი, ევგენი კაფელნიკოვი, ტომას ჰაასი, როჯე ფედერერი.

„ყოველდღიურად მემატებოდა საკუთარი თავის რწმენა. ვერ წარმოიდგენთ რა გრძნობაა, როცა დარწმუნებული ხარ, რომ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეგიძლია“ – განაცხადა შეჯიბრების შემდეგ კანასმა.

# კურნიკოვას ფინალამდე ცოტა დააკლდა

ცნობილია, რომ ანა კურნიკოვას თავის კარიერაში ერთი სერიოზული ტურნირიც არა აქვს მოგებული. სამაგიეროდ, თავის, მშვენიერი გარეგნობით დიდ პოპულარობას მიაღწია. ბოლო პერიოდში საჩოგბურთო ასპარეზზე წარუმატებლობამ მისი სახელი ჩრდილში მოაქცია და მაინც გადაწყვიტა „სერიოზულად მოეკიდა ხელი“ სპორტისთვის.



და აი, სან-დიეგოს პრესტიჟულ ტურნირში რუსმა ჩოგბურთელმა ყველას დაუმტკიცა, რომ დიდ სპორტშიც დიდი წარმატების მიღწევაც ძალუძს: კურნიკოვამ შეჯიბრების ნახევარფინალამდე მიაღწია, სადაც დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა ელენა დოკიჩთან — 7:6, 6:7, 0:6.

ტურნირის გამარჯვებული კი ვინუს უილიამსი გახდა, რომელმაც ფინალში რუსის დამმარცხებელ დოკიჩს სძლია — 6:2, 6:2.

# მირიან ცალქალამანიძე



ამ ხუთიოდე თვის წინ, 75 წლის იუბილე მივულოცეთ. გარკვეულწილად ტკივილიანი იყო ეს მილოცვა, რადგან ჯანმრთელობის გაუარესება ეწყებოდა. ახლა უკვე ლეგენდად ქცეული სახელი — მირიან ცალქალამანიძე მარადისობას თუნდაც იმით შეუერთდა, რომ ოლიმპიური ჩემპიონები უკვდავნი არიან!

მირიან ცალქალამანიძის გზა ოლიმპისკენ თელავის რაიონის მშობლიურ სოფელ კონდოლში დაიწყო, სადაც ყმაწვილებში პირველად ქართული ჭიდაობის მადლს ეზიარა, და ლახტის თამაშში გამოიწრთო. მკვირცხლი, მოქნილი და ამასთან, ღონით და სხვა ფიზიკური მონაცემებით დაჯილდოებული ჭაბუკი, სპორტის სხვადასხვა სახეობაში, განსაკუთრებით ფეხბურთში გაჯიბრებისას, არა თუ თანატოლებს, ასაკით უფროსებსაც არ ჩამოუვარდებოდა ჟინით და შემართებით. მერე, როცა თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო სარბიელზე გაიჭრა, დავით ციმაკურიძემ ყველა მისი თვისებების დასახასიათებლად ჩინებული ფრთიანი ფრაზა გამოიგონა: „მოჭიდავე მერცხალი!“ ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ალი ალიევი მირიანის ოსტატობას ასე ახასიათებდა: „არაჩვეულებრივი სისწრაფე, თვითმყოფადი ტექნიკა, თამამი იმპროვიზაცია, საოცარი სიმტკიცე, შეტევის საკვირველი გრძნობა — ყოველივე ეს აქვს მირიან ცალქალამანიძეს. რა ოსტატურად ჭიდაობდა იგი დგომში!..“

მართალია, ცნობილ მწვრთნელს ლევ კაპიტონოვს ძალიან გვიან, უკვე ზრდასრულმა მიაკითხა და თავისუფალ ჭიდაობაში სავარჯიშოდ არც საჭიდაო ხალიჩას შემორჩა დიდხანს როგორც სპორტსმენი, მაინც, წარუშლელი კვალი დატოვა. ის, რასაც სხვები ორჯერ და სამჯერ მეტ წლებს ანდომებდნენ, მირიანმა ერთ ოთხწლეულში შეძლო — გახდა XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1956), მსოფლიო ჩემპიონატების ვერცხლის (1957) და ბრინჯაოს (1954) პრიზიორი, მსოფლიო თასის გამარჯვებული (1956) და ვერცხლის მედალოსანი, მსოფლიო სტუდენტთა თამაშების ორგზის (1954, 1955) ჩემპიონი, სსრ კავშირის ორგზის (1954, 1956) ჩემპიონი, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის (1956) ჩემპიონი. ამ წარმატებებში ლევ ძეკონსკისთან ერთად, დიდი იყო სხვა მწვრთნელების დამსახურებაც.

ვალმოხდილი წავიდა სპორტიდან, თუმცა ფალავანთა სამყაროსთან კავშირი არასდროს გაუწყვეტია. სამეურნეო საქმიანობაში ჩაფლულს, მაინც რჩებოდა დრო თავისი წვლილი შეეტანა მოჭიდავეთა დიდი და ძმური ოჯახის განმტკიცებაში, რომლის ერთ-ერთი ავტორიტეტული წევრი თავად იყო. ყველაფერი ერთად დაფასდა, როცა დამოუკიდებელი საქართველოს საპატიო ჯილდოთი „ღირსების ორდენით“ დააჯილდოვა ქვეყნის პრეზიდენტმა.

უხმაუროდ იცხოვრა, ასევე უხმაუროდ, სხვების ზედმეტად შეუწუხებლად წავიდა ამქვეყნიდან. წავიდა, მაგრამ შთამომავლობას საამაყოდ დაუტოვა სახელი — მირიან ცალქალამანიძე. თაობები მუდამ ღირსეულ პატივს მიაგებენ მის ნათელ ხსოვნას.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

მირიან ცალქალამანიძის დამკრძალავი კომისიისაგან

მირიან ცალქალამანიძის ცხედრის გადასვენება თბილისიდან თელავში მოხდება დღეს, 6 აგვისტოს, განსვენებულის ბინიდან (ჯანაშიას ქ. №4).

დაკრძალვა თელავში, ხუთშაბათს, 8 აგვისტოს, 14 საათზე, მისამართი ფალიაშვილის ქ. №21.

საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა საბჭო ულრმეს მწუხარებას გამოთქვამს ჩვენი ქვეყნის ღირსეული პიროვნებისა და მოქალაქის, თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის

მირიან ცალქალამანიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მოჭიდავეთა რეგისტრირებული საზოგადოება „რაინდი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიური ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის

მირიან ცალქალამანიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სახელოვანი ვეტერანი ქართველი ფალავანი, ოლიმპიური ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი

მირიან ცალქალამანიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, საქართველოს სპორტულ საზოგადოებრიობას.

საქართველოს სპორტის ვეტერანთა საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ვეტერანი ფალავნის

მირიან ცალქალამანიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„ლელოს“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

მირიან ცალქალამანიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




6 აგვისტო, სამშაბათი

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (განმეორებით) გერმანია – პარაგვაი (15.15), *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (20.00), *მე-9 არხი.* „მსოფლიო რაგბი“ (14.00), ***НТВ плюс футбол.*** გავიხსენოთ განვლილი სეზონი. ჩემპიონატები: ჰოლანდიის „ვილემ II“ – „აიაქსი“ (13.15), „ფუტბოლ მუნდიალი“ (15.00), გერმანიის „ნიურნბერგი“ – „ბაიერი“ (15.30), იტალიის „ბრეშია“ – „იუვენტუსი“ (17.15), ლიბერტადორესის თასი (19.20, 23.40), ესპანეთის „ვალენსია“ – „ბარსელონა“ (20.10), ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი“ – „მიდლსბრო“ (21.55), იტალიის „რომა“ – „ვერონა“ (0.30). ***НТВ плюс спорт.*** ფრენბურთი. გრან-პრი. ქალები. კუბა-რუსეთი (17.15), საცხენოსნო სპორტი. გაზეთ „როსიას“ პრიზი (19.15), მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (20.30). ***EUROSPORT.*** მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (11.30, 18.30), მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (13.00, 19.30, 21.00).

7 აგვისტო, ოთხშაბათი

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (განმეორებით) დანია – ინგლისი (15.15), *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (10.45, 22.30), ***НТВ плюс футбол.*** გავიხსენოთ განვლილი სეზონი. ჩემპიონატები: ესპანეთის „ვალენსია“ – „ბარსელონა“ (13.15), ლიბერტადორესის თასი (15.00), ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი“ – „მიდლსბრო“ (15.50), იტალიის „რომა“ – „ვერონა“ (17.35), ჰოლანდიის „აიაქსი“ – „ფეიენოორდი“ (21.50), გერმანიის „ბაიერი“ – „ჰერტა“ (23.25). ***НТВ плюс спорт.*** ფრენბურთი. გრან-პრი. ქალები. ჩინეთი – რუსეთი (17.15), მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (19.10), ***EUROSPORT.*** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (12.00, 13.00, 18.00, 19.45, 3.30). ცხენოსნობა. ეროვნებათა თასი (17).

8 აგვისტო, ხუთშაბათი

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (განმეორებით) შვეცია – სენეგალი (15.15), *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (10.45). ***НТВ плюс футбол.*** გავიხსენოთ განვლილი სეზონი. ჩემპიონატები: ჰოლანდიის „აიაქსი“ – „ფეიენორდი“ (15.20), გერმანიის „ბაიერი“ – „ჰერტა“. (17.10), „ბორუსია“ – „ვერდერი“ (19.20), „ფუტბოლ მუნდიალი“ (21.05, 1.05). ინგლისის „ნიუკასლი“ – „ევერტონი“ (21.35), იტალიის „კიევო“ – „იუვენტუსი“ (23.20). ***НТВ плюс спорт.*** ცხენოსნობა. გაზეთ „როსიას“ პრიზზე (15.00), წრიული ავტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (16.40), მძლეოსნობა, ევროპის ჩემპიონატი (18.25), ***EUROSPORT.*** მძლეოსნობა. ევროპის პირველობა (12.30, 16.30, 19.00), რალი მსოფლიო ჩემპიონატი (3.05).

# კროსვორდი № 60



თარაზულად: 2. ოდესის საფეხბურთო კლუბი, 7. წარსულში ცნობილი ეთიოპიელი სტაიერი, ოლიმპიური ჩემპიონი, 9. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 10. აშშ-ს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ქართული აბრევიატურა, 11. თანამედროვე პროფესიონალი მძიმეწონოსანი მოკრივე, 12. წარსულში ცნობილი რუსი ძალოსანი, 14. ცნობილი ვეტერანი იაპონელი ძიუდოისტი, 16. ვეტერანი ქართველი წყალმხტომელი ვაჟი, ოლიმპიური თამაშების მონაწილე, 17. ფეხბურთში, ხელბურთში, წყალბურთში... ერთ-ერთი მოთამაშის ამპლუა, 18. ახლო წარსულში ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 20. ქუთაისის სარაგბო კლუბი, 21. წარსულში ცნობილი ბალტიისპირელი კალათბურთელი, მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი:

შვეულად: 1. სპორტული შედეგის და სხვა ინფორმაციის საილუსტრაციო სტენდი, 3. არგენტინის საფეხბურთო ნაკრების მეკარე. 4.ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 5. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან, 6. სპორტის ტანვარჯიშული სახეობა, 8. სპორტის სახეობა, 13. „ფორმულა-1“-ის მრბოლი, 14. სპორტის ორთაბრძოლის სახეობა, 15. რაგბის საერთაშორისო ფედერაციის აბრევიატურა, 19. კორეელ ფეხბურთელთა გავრცელებული გვარი.

## კროსვორდი №59. პასუხები

თარაზულად: 1. სპარტაკიადა, 6. კასკადიორი, 8. მური, 11. ეში, 12. „პაოკი“, 13. ილიე, 14. აზია, 15. „ვერდერი“, 17. აზიმუტი, 19. ბილიკი, 20. ინსი, 21. ფორა, 22. სეტი.

შვეულად: 1. სტამი, 2. აზარაშვილი, 3. ანა, 4. დიდი, 5. ჩარი, 7. კალოევი, 9. კობერიძე, 10. „შინიკი“, 12. პარტია, 14. აგასი, 16. ჩუი, 18. იტო.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. კe1! 1. ...მფ:e5 2. კg3X.
1. ...კ:f5 2. მ:c4X. 1. ...კd5 2. ე:d5X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com